არჩევანი

ნიკოღას სპარქსი

2016-03-10

ნიკოლას სპარქსი

წლის ბესტსელერი

„გამომცემლობა პაღიტრა L“ პროექტით **„წლის ბესტსელერი“** მკითხველს სთავაზობს

უახლესი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს. თითოეული წიგნი და ავტორი არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. ბუკერის, ნობელის, პულიცერის, გონკურების, IMPAC-ის, სერვანტესის პრემიის ლაურეატი მწერლები და წიგნები კრიტიკოსებმა გამორჩეულად შეაფასეს და წლის ბესტსელერებად აღიარეს.

ინგლისურიდან თარგმნა ლევან ინასარიძემ
რედაქტორი მანანა ბაღიაშვილი
კორექტორები: მარი გუნთაიშვილი, მარინა ინანიშვილი
დიზაინერი დავით აბრამიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან კოღუაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან ლაცაბიძე
პროექტის მენეჯერი ნათია ზაქრაძე

Originally published as THE CHOICE by Nicholas Sparks
Copyright © 2007 by Nicholas Sparks
www.nicholassparks.com
Cover photo © Istockphoto.com/teksomolika
All rights reserved

© **გამომცემლობა პალიტრა L, 2016**
ყველა უფლება დაცულია

*** * ***

ნიკოლას სპარქსი დაიბადა 1965 წლის 31 დეკემბერს ნებრასკის შტატში, პროფესორ პატრიკ მაიკლ სპარქსის ოჯახში. წერა 19 წლისამ დაიწყო და დღემდე მისი წიგნების გაყიდვებმა 100 მილიონს გადააჭარბა.

მწერლის რომანების მიხედვით გადაღებულია რამდენიმე ფილმი, მათ შორის: „წერილი ბოთლში“ (1999), „იჩქარე, შეიყვარო“ (2002), „ღლიური“ (2004), „ღამეები როდანთში“ (2008), „ძვირფასო ჯონ“ (2010), „უკანასკნელი სიმღერა“ (2010), „არჩევანი“ (2016) და სხვა.

ნიკოლას სპარქსი ამჟამად სამხრეთ კაროლინაში მეუღლესა და შვილთან ერთად ცხოვრობს. მწერლობასთან ერთად საქველმოქმედო საქმიანობითაა დაკავებული.

სპარქსის რომანები:

- თარგმნილია 50-ზე მეტ ენაზე
- გაყიდულია 100 მილიონზე მეტი ეგზემპლარი
- მისი თორმეტი წიგნი New York Times-ის ბესტსელერების სიაშია

ავტორსა და მის შემოქმედებაზე დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.nicholassparks.com

* * *

ეს არის წიგნი ნამდვილ სიყვარულსა და ერთგულებაზე; გამძლეობაზე, რომელიც ადამიანს მხოლოდ მაშინ აღმოაჩნდება, როდესაც უანგაროდ უყვარს, როდესაც მზადაა, სიყვარულისთვის ყველაფერი გაიღოს...

ეს წიგნი არჩევანზეა, რომელსაც ადამიანს არა გონება, არამედ გული, სიყვარული აკეთებინებს. სიყვარულით გაკეთებული არჩევანი კი მცდარი არასოდეს არის.

* * *

„სპარქსი ტრადიციას არ ღალატობს – „არჩევანში" სიყვარულსა და ბედისწერას ისე აკავშირებს, რომ ჩვენ წინაშე მარადიული სიყვარულის ამბავი იბადება".

Washington Post Book World

„ამაღელვებელი ამბავი, საოცარი და მოულოდნელი დასასრულით. სპარქსი წერის სტილითა და თხრობის განსხვავებული მანერით ნებისმიერი ლიტერატურული გემოვნების ადამიანზე ახერხებს ზემოქმედებას".

Booklist

„ეს წიგნი მკითხველს პირველიდან ბოლო გვერდამდე იმორჩილებს და მწერლის სათქმელიც ადვილად აღწევს ჩვენს გულებამდე".

რაიან გოსლინგი, მსახიობი

„ნიკოლას სპარქსი ამერიკაშიცა და ოკეანის მიღმაც ერთი განსაკუთრებული მიზეზით არის ცნობილი: მწერალი აღწერს ამბებს, რომელშიც უდიდესი გრძნობა – სიყვარული – ვლინდება. ამ მხრივ „არჩევანი" მის ნაწარმოებთა შორისაც კი გამორჩეულია".

New York Times

„ნიკოლას სპარქსს შეუძლია, მარტივი სიუჟეტი ხელოვნების ნიმუშად აქციოს. ავტორს მკითხველი ბოლომდე გვერდით ჰყავს და თავად მოუთხრობს".

Bestsellers World.com

„სპარქსი ცხოვრებისეული არჩევანის ტკბილ ამბავს გვიყვება. ავტორი მისთვის დამახასიათებელი წერის სტილითა და მანერით ახერხებს, წიგნის თითოეული თავი მკითხველისთვის საინტერესო და ამაღელვებელი იყოს".

The Guardian

არჩევანი

2007 წლის თებერვალი

ცხოვრებისეული ამბები ისეთივე უნიკალურია, როგორც ის ხალხი, ვინც ამ ამბებს ჰყვება, მაგრამ საუკეთესო ამბავი მაინც ისაა, რომელსაც მოულოდნელი დასასრული აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასე ეუბნებოდა ხოლმე ბავშვობაში თრევის პარკერს მამამისი. თრევისს ისიც კი ახსოვდა, როგორ მიუჯდებოდა მამა საწოლზე გვერდით, გაუღიმებდა და ბიჭიც ხვეწნას უწყებდა, რამე ამბავს მომიყევიო.

— აბა, როგორი ამბავი გინდა? — ჰკითხავდა ხოლმე მამამისი.

— ყველაზე საუკეთესო, — პასუხობდა თრევისი.

ჩვეულებრივ, მამამისი რამდენიმე წამს ჩუმად იჯდა, მერე კი თვალები წამოენთებოდა ხოლმე; შვიდს ხელს შემოხვევდა და სულში ჩამწვდომი ხმით იწყებდა ისეთი ამბის მოყოლას, რომელიც ბავშვს დაძინების საშუალებას არ აძლევდა, მაშინაც კი ახსოვდა, როდესაც მამამისს სინათლე უკვე გამორთული ჰქონდა და დასაწოლად იყო წასული. მამის მონაყოლი თავგადასავლით, ფათერაკებით, აღფრთოვანებითა და მოგზაურობით იყო მუდამ სავსე, თუმცა კი მოქმედება სულ ერთსა და იმავე დაბაში — ბოფორში — ხდებოდა, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინაშია და სადაც დაიბადა და გაიზარდა კიდეც თრევის პარკერი; მეტიც, როდესაც ამბობს, შინო, მუდამ ამ დაბას გულისხმობს. უცნაურია, მაგრამ ამბების უმეტესობაში დათვებიც ფიგურირებდნენ. გრიზლი, წაბლა დათვი, კადიაკის ჯიშის დათვები... მამამისი დიდად არ დაგიდევდათ დათვების საცხოვრებელი გარემოს რეალურობას, ამიტომ მისი თმის ყალყზე დამდგომი ნადირობის სცენები შეიძლება ქვიშიან დაბლობებშიც განვითარებულიყო, რაც თრევისს ღამეულ კოშმარებად ექცეოდა ხოლმე. უკვე საშუალო სკოლის მოწაფე იყო, რომ შექლფორდ-ბენქსზე მოთარეშე გადარეული პოლარული დათვები ესიზმრებოდა მაინც. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ აგრერიგად უსკდებოდა გული მოსმენილ ამბებზე, მაინც ჯიუტად კითხულობდა, შემდეგ რა მოხდაო.

თრევისს ის უბიწო დღეები სხვა ეპოქის ნაკვალევად ეჩვენებოდა. და ახლაც, ცენტრალური საავადმყოფოს ავტოსადგომზე რომ გააჩერა მანქანა, სადაც მისი ცოლი ბოლო ათი წელი იყო, რაც მუშაობდა, ორმოცდასამი წლის ასაკშიც ისევ ის სიტყვები გაახსენდა, მამამისს რომ ეუბნებოდა.

მანქანიდან რომ გადმოვიდა, თან წამოღებული ყვავილებს დასწვდა. ცოლთან ნაჩხუბარი იყო და ამიტომ ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდა, უკან წაელო თავისი სიტყვები და შეცდომა გამოესწორებინა. ეგონა, ყვავილები დამეხმარება საქმის მოგვარებაშიო, მაგრამ მერე როგორ უნდა ემოქმედა, ეს უკვე აღარ იცოდა. ისე წავიდა, რომ არც კი უთქვამს, მომხდარის გამო ვნანობო, მაგრამ დაქორწინებულმა მეგობრებმა დაარწმუნეს, სინანული ნებისმიერი კარგი ქორწინების თანამდევიაო. მეტიც, სინანულს ქორწინების ქვაკუთხედიც კი უწოდეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გონება უმუშავებდა, ღირებულებებს წინანდებურად მაღალ შეფასებას აძლევდა და სინანულის გრძნობასაც უსიამოვნო შეგრძნების გამო არიდებდა თავს. მეგობრები ზოგჯერ მარცხსაც აღიარებდნენ ხოლმე ამ სფეროში და თრევისიც იმ დასკვნამდე მივიდა, ჩემ ირგვლივ უშეცდომო არავინ არის, ყოველ შემთხვევაში, ნაცნობ წყვილებში მაინცო. ისიც კი იფიქრა, ნეტავ, მეგობრები გულის გასაკეთებლად ხომ არ მეუბნებიანო; ხომ შეიძლება, უბრალოდ, მისი დარწმუნება, სრულყოფილი არავინ არისო, იმიტომ ეცადათ, რომ საკუთარი თავის მიმართ სასტიკი არ გამხდარიყო. ერთხელ ისიც კი უთხრეს, შეცდომა ყველას მოსდისო და თრევისმაც